



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 125

2016 წლის 5 დეკემბერი

ხაშური



## ფრაქცია „ვეტერანები - დამოუკიდებლების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია - „ვეტერანები - დამოუკიდებლების“ რეგისტრაციის მიზნით, მომართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: ჯურხა მახარაშვილმა (ფრაქციის თავმჯდომარე, არჩეულია მაჟორიტარული წესით, „რესპუბლიკური“ პარტიიდან, ამჟამად უპარტიო), ეშხარ მურჯიკნელმა (ფრაქციის წევრი, არჩეულია მაჟორიტარული წესით, „ძალოვან ვეტერანთა“ პარტიის სიით) და მიხეილ ჯიბუტმა (ფრაქციის წევრი, არჩეულია „ბურჯანაძე - გაერთიანებული დემოკრატების“ პარტიის სიით, ამჟამად უპარტიო), რომლებმაც წარმოადგინეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია (განცხადება, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის წესდება), რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის მიხედვით შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ვეტერანები - დამოუკიდებლები“-ს დაფუძნება თავმჯდომარე - ჯურხა მახარაშვილი.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე და მოქმედება გავრცელდება 2016 წლის 22 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე